პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 17 დეკემბერი, 1947 წ. № 251 (8035). ფასი 20 კაპ.

ჩვენი ხალხი დაუღალავად შრომობს ახალი ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესასრულებლად და სერიოზულ წარმატებებს აღწევს. ფულის რეფორმა, ბარათების გაუქმება და ერთიანი სახელმწიფო ფასებით გაშლილ საბჭოთა ვაჭრობაზე გადასვლა ხელს შეუწყობს შრომის ნაყოფიერების კიდევ უფრო სწრაფ ზრდას, დააჩქარებს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპს, მაშასადამე, განუხრელად ამაღლებს მშრომელთა კეთილდღეობის დონეს, აამაღლებს საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებას.

ლენინის დროშით, დიდი სტალინის წინამძღოლობით საბჭოთა ხალხი წარმატებით აშენებს სრულ კომუნისტურ საზოგადოებას.

## ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი

ჩვენი დიადი სამშობლო სასიხარულო დღეებს განიცდის. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის 14 დეკემბრის დადგენილება „ფულის რეფორმის გატარებისა და სასურსათო და სამრეწველო საქონელზე ბარათების გაუქმების შესახებ“ ახალ ეტაპს იწყებს საბჭოთა სახელმწიფოს განვითარებაში. ეს დადგენილება კიდევ და კიდევ მჭევრმეტყველურად ადასტურებს სოციალიზმის ძალასა და ცხოველმყოფელობას, ლენინ-სტალინის პარტიის, საბჭოთა მთავრობის, პირადად დიდი სტალინის უსაზღვრო მზრუნველობას ხალხის კეთილდღეობისათვის. უდიდესი სიამაყის გრძნობით, ერთსულოვანი აღფრთოვანებითა და მოწონებით შეხვდა ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს თვითეული მშრომელი ამ დადგენილებას, რომელიც მიმართულია მეორე მსოფლიო ომის შედეგების ლიკვიდაციის, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობის, საბჭოთა მანეთის კურსის განმტკიცების, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი ამაღლების, სოციალისტური სამშობლოს ძლიერების კიდევ უფრო განმტკიცებისაკენ.

საბჭოთა ქვეყანამ ისტორიაში ჯერ არნახული ომი გადაიტანა. როგორც ცნობილია, დიდმა სამამულო ომმა, რომელსაც საბჭოთა ხალხი მთელი ოთხი წლის განმავლობაში ეწეოდა, ხალხის მთელი ძალების უდიდესი დაძაბვა, ქვეყნის მთელი მატერიალური რესურსების მობილიზაცია მოითხოვა. უაღრესად გაიზარდა სახელმწიფო ხარჯები. მთავრობა იძულებული გახდა დიდი რაოდენობით გამოეშვა ფულის ნიშნები. ამავე დროს საგრძნობლად შემცირდა მოსახლეობისათვის მისასყიდად განკუთვნილი საქონლის წარმოება და საცალო საქონელბრუნვა. ამას ზედ დაერთო ომის პერიოდში დროებით ოკუპირებულ საბჭოთა ტერიტორიაზე გერმანელი ოკუპანტების მიერ ყალბი ფულის დიდი რაოდენობით გამოშვება, რის შედეგად მიმოქცევაში აღმოჩნდა გაცილებით მეტი ფული, ვიდრე იგი სახალხო მეურნეობისათვის იყო საჭირო.

სასურსათო და სამრეწველო საქონელზე საბარათო სისტემის მეოხებით დიდი სამამულო ომის წლებში შესაძლებელი შეიქნა ნორმირებულ პროდუქტებსა და საგნებზე ერთიანი სახელმწიფო ფასების შენარჩუნება. როცა დიდი სამამულო ომი სწარმოებდა, საბარათო სისტემა აუცილებელი იყო ფრონტზე საბჭოთა არმიისა და ზურგში მშრომელთა შეუფერხებელი მომარაგებისათვის.

დიდი სამამულო ომი ჩვენი სამშობლოს ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. დღის წესრიგში დაისვა ფულის რეფორმის გატარებისა და მომარაგების საბარათო სისტემის გაუქმების საკითხი.

საბარათო სისტემის გაუქმებისათვის ნიადაგი მზადდებოდა დიდი სამამულო ომის დამთავრების მეორე დღიდანვე. სასურსათო და სამრეწველო საქონლის სიუხვე — აი წინაპირობა საბარათო სისტემის გაუქმებისა და გაშლილ საბჭოთა ვაჭრობაზე გადასვლისათვის. ბოლშევიკურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მთელი რიგი ღონისძიებანი განახორციელეს საბარათო სისტემის გაუქმების მოსამზადებლად.

ჩვენმა მრეწველობამ სასახელოდ დასძლია ომით გამოწვეული სიძნელენი, წარმატებით შესრულა ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის პირველი წლის გეგმა და კიდევ უფრო მეტი გამარჯვება მოიპოვა მიმდინარე წელს. ჩვენი სოციალისტური მრეწველობის პროდუქციის დონემ უკვე მიაღწია ომამდელ დონეს და იგი დღითი დღე განუხრელი აღმავლობის გზით მიდის.

მთელი ძალების დაძაბვით, პატრიოტულად მუშაობს კოლმეურნე გლეხობა და დიდ წარმატებასაც აღწევს. კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობების მუშებმა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა მიმდინარე წელს პირნათლად გაანაღდეს დიდი სტალინისათვის მიცემული პირობა. მთელ საბჭოთა კავშირში წარმატებით ჩატარდა საგაზაფხულო თესვა, 8 მილიონი ჰექტარით გადიდდა ნათესი ფართობი, ორგანიზებულად ჩატარდა ნათესის მოვლა-დამუშავება, მოსავლის აღება და სახელმწიფოსათვის პურისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარება. ყოველივე ამის შედეგად წელს სახელმწიფომ მიიღო იმდენივე პური, რამდენსაც ომამდელ საუკეთესო წლებში იღებდა.

ახალი სტალინური ხუთწლედის განვლილ ორ წელიწადში ჩვენი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მიერ მოპოვებულმა წარმატებებმა მოამზადეს პირობები ფულის რეფორმის ჩატარებისა და საბარათო სისტემის გაუქმებისათვის.

ფულის რეფორმა, სასურსათო და სამრეწველო საქონელზე საბარათო სისტემის გაუქმება, ერთიანი სახელმწიფო ფასების შემოღება და ფართოდ გაშლილ საბჭოთა ვაჭრობაზე გადასვლა უდიდეს პერსპექტივებს სახავს საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს წინაშე, თვითეული მშრომელის წინაშე. იგი ჰქმნის მტკიცე ნიადაგს ჩვენი სახალხო მეურნეობის უფრო სწრაფი აღმავლობისათვის, განუზომლად აუმჯობესებს მშრომელთა მატერიალურ კეთილდღეობას. ამიტომ გამოიწვია ამ ისტორიულმა დადგენილებამ მშრომელთა ერთსულოვანი აღფრთოვანება, ახალი შრომითი აღმავლობა.

ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, საქართველოს ფაბრიკა-ქარხნებში, შახტებში, მაღაროებში, ტრანსპორტზე, ახალმშენებლობებზე, საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებში, დაწესებულებებში ხალხმრავალი კრებები და მიტინგები იმართება. მუშები, კოლმეურნეები, მშრომელი ინტელიგენცია მიესალმება ახალ დადგენილებას. მშრომელები აღუთქვამენ პარტიას, მთავრობას, ამხანაგ სტალინს, რომ ისინი კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას, გააორკეცებენ ღონისძიებებს და უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან ახალი სტალინური ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესასრულებლად, ჩვენს ქვეყანაში სასურსათო და სამრეწველო საქონლის სიუხვის შესაქმნელად.

დიდი სამამულო ომის დამთავრებიდან უმოკლესი დროის მონაკვეთში, რაღაც ორნახევარი წლის შემდეგ ფულის რეფორმის გატარება და საბარათო სისტემის გაუქმება შესაძლებელი გახდა მხოლოდ სოციალიზმის ქვეყანაში — საბჭოთა კავშირში. ბურჟუაზიული დემოკრატიის ისეთ დიდ სახელმწიფოებში, როგორიცაა ინგლისი, საფრანგეთი, იტალია და სხვა ქვეყნები, მშრომელები საშიმშილო ულუფას შეჰყურებენ. საფრანგეთისა და იტალიის მუშები დღეში 200 გრამ პურს იღებენ. დღითი დღე ეცემა მათი რეალური ხელფასი. კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაშია ამ ქვეყნების უმუშევრები. მუშათა კლასი გაფიცვებით, პოლიტიკური დემონსტრაციებით იბრძვის თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ინგლისში ამას წინათ საბარათო სისტემა შემოიღეს პირველი მოთხოვნილების ისეთ საგანზე, როგორიცაა კარტოფილი. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი მოუწოდებს ამერიკელ მუშებს ნაკლები სჭამონ. და ყოველივე ეს ხდება იმ დროს, როდესაც ყველა ამ ქვეყნის კაპიტალისტები ყოველდღიურად ზრდიან თავიანთ შემოსავალს მშრომელთა ხარჯზე და მილიონიან თანხებს ფლანგავენ ფუფუნებით ცხოვრებისათვის.

სათანადოდ მომზადებული ხვდებიან ფულის რეფორმას და საბარათო სისტემის გაუქმებას საქართველოს სს რესპუბლიკის მშრომელები. ისევე, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ჩვენშიც სერიოზული მუშაობაა უბარათებოდ საბჭოთა ვაჭრობის გაშლისათვის. მოვაჭრე ორგანიზაციებს დაუბრუნდათ ომის წლებში სხვა დანიშნულებისათვის გამოყენებული ასობით სავაჭრო ნაგებობა, სავაჭრო ქსელის აღდგენას, ახლების მშენებლობას და ტექნიკურ აღჭურვას მოხმარდა ათობით მილიონი მანეთი, მომზადდა კადრები.

მოვაჭრე ორგანიზაციების ხელმძღვანელების, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების, სავაჭრო დარგის თვითეული მუშაკის გადაუდებელი ამოცანაა უნაკლოდ განახორციელონ უბარათებოდ ვაჭრობაზე გადასვლა, უკეთ მოემსახურონ მომხმარებელს.

დავრაზმოთ მთელი ძალები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის 14 დეკემბრის ისტორიული დადგენილების სასახელოდ განხორციელებისათვის.

## ვ. მ. მოლოტოვი ლონდონიდან გამოემგზავრა

ლონდონი, 16 დეკემბერი. (საკდესი). დღეს დილის 9 საათზე ლონდონის დროით სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი თვითმფრინავით ლონდონიდან მოსკოვს გაფრინდა. ამავე დროს ლონდონიდან გაფრინდნენ ა. ი. ვიშინსკი და საბჭოთა დელეგაციის სხვა წევრები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მეხუთე სესიაში.

ლონდონის აეროდრომზე ვ. მ. მოლოტოვი გააცილეს საბჭოთა ელჩმა ინგლისში გ. ნ. ზარუბინმა, საელჩოს დიპლომატიურმა შემადგენლობამ და ლონდონში არსებული საბჭოთა დაწესებულებების თანამშრომლებმა.

ინგლისის მთავრობის სახელით ვ. მ. მოლოტოვი აეროდრომზე გააცილა ლორდმა პაკენჰემმა.

# საქართველოს მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნულ გადაწყვეტილებას

## მანქანათმშენებელთა ვალდებულებანი

რადიოთი მოისმინეს თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „ფულის რეფორმის გატარებისა და სასურსათო და სამრეწველო საქონელზე ბარათების გაუქმების შესახებ“. 15 დეკემბერს ქარხნის საამქროებში შესდგა მიტინგები, რომლებზეც მშრომელებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი სიხარული, თავიანთი ფიქრები, ახალი დადგენილებით გამოწვეული.

სამჭედლო საამქროში მიტინგზე ინფორმაციით გამოვიდა საამქროს უფროსი ამხ. ვ. კაპანაძე. სიტყვას იღებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მჭედელი ამხ. ვ. კორძაძე.

— ფულის რეფორმის გატარება და სასურსათო და სამრეწველო საქონელზე ბარათების გაუქმება,—სთქვა მან,— მიზნად ისახავს მშრომელი ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომ ამაღლებას. ახალ დადგენილებას თვითეულმა ჩვენგანმა უფრო ენერგიული შრომით უნდა უპასუხოს. მე პირადად პირობას ვიძლევი 450 პროცენტით შევასრულო დეკემბრის დავალება.

სტახანოველმა მჭედელმა ი. სტიცინმა განაცხადა, რომ ახალი დადგენილების პასუხად დგება სტახანოვურ ვახტზე და პირობას სდებს დავალება 400 პროცენტით შეასრულოს.

მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე სტახანოველი მჭედლები ამხ. მიხოიანი და ამხ. არეშოვი. მათ იკისრეს დეკემბრის საწარმოო დავალება თვითეულმა 300 პროცენტით შეასრულოს.

ინსტრუმენტალურ საამქროში დადგენილება მუშებს გააცნო საამქროს უფროსმა ამხ. ო. შეხიკინმა.

მიტინგები ჩატარდა ამწყობ, მექანიკურ, სამსხმელო, დამამზადებელ და სხვა საამქროებშიც.

## ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესასრულებლად

საბჭოთა მთავრობისა და ბოლშევიკების პარტიის დადგენილებას ფულის რეფორმის გატარებისა და სასურსათო და სამრეწველო საქონელზე ბარათების გაუქმების შესახებ სამხრეთ ოსეთის მშრომელები უდიდესი კმაყოფილების გრძნობით შეხვდნენ. ოლქში ტარდება დადგენილებისადმი მიძღვნილი ხალხმრავალი მიტინგები.

სტალინირის ხე-ტყის კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა მიტინგზე პატრიოტული სიტყვით გამოვიდა სტახანოველი მუშა ი. კვალინაძე.

— ჩვენი მშობლიური ბოლშევიკების პარტია, საბჭოთა მთავრობა,—განაცხადა მან,—უდიდეს მზრუნველობას იჩენენ მშრომელებისადმი. ჩვენმა კომბინატმა თვენახევრით ადრე შეასრულა მიმდინარე წლის დავალება. 14 დეკემბრის დადგენილება ახალ ძალებს გვმატებს, არაფერს არ დავიშურებთ ომისშემდგომი ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესასრულებლად,—ეს იქნება ჩვენი პასუხი ახალ დადგენილებაზე.

წნელისის თალკის ქარხნის სტახანოველმა მუშამ, სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატმა ეკატერინე გაგლოევამ სთქვა:— 14 დეკემბრის დადგენილება წარმოადგენს იმის ნათელ დადასტურებას, თუ რა დიდ მზრუნველობას იჩენენ პარტია და მთავრობა მშრომელი ხალხისათვის. ამ მზრუნველობის პასუხად ვალდებულებას ვკისრულობ 5 წლის დავალება სამ წელიწადში გავანაღდო.

სტალინირის რაიონის სოფელ თამარაშენის მოწინავე კოლმეურნემ ანნა გოგიძემ სთქვა:

— დიდი სიხარულით არის აღსავსე ყველა კოლმეურნის გული. პარტიისა და მთავრობის ახალი დადგენილება ხელს შეუწყობს კოლმეურნეობათა შემდგომ განმტკიცებას, კოლმეურნე გლეხობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. ჩვენმა კოლმეურნეობამ წელს შაქრის ჭარხლისა და ყურძნის სარეკორდო მოსავალი მიიღო. კვლავ შეუნელებელი ენერგიით ვიბრძოლებთ სოფლის მეურნეობის აღმავლობის სტალინური პროგრამის განსახორციელებლად, უხვი მოსავლის მიღებისათვის.

**ვლ. გელაშვილი**

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

## საბჭოთა სამშობლოს ძლიერების გადიდების დაუშრეტელი წყარო

ფოთის მშრომელები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „ფულის რეფორმის გატარებისა და სასურსათო და სამრეწველო საქონელზე ბარათების გაუქმების შესახებ“.

საწარმოებსა და დაწესებულებებში ეწყობა ხალხმრავალი მიტინგები. საარჩევნო უბნებსა და აგიტპუნქტებში აგიტატორები ამომრჩევლებს აცნობენ ამ ისტორიული დადგენილების შინაარსს.

ნავსადგურის მუშა-მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა მიტინგზე, რომელიც მიეძღვნა ახალი დადგენილების გაცნობას, ვალდებულება იკისრეს ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელიწადში შეასრულონ.

მიტინგები ჩატარდა აგრეთვე კოლხიდმშენის, რკინიგზის, სამრეწველო კომბინატის საწარმოებში.

მშრომელები პარტიისა და მთავრობის ამ დადგენილებაში ხედავენ ხალხის ეკონომიური და მატერიალური კეთილდღეობის, ჩვენი სამშობლოს ძლიერების გადიდების დაუშრეტელ წყაროს და ახალ-ახალ საწარმოო ვალდებულებას კისრულობენ.

**ა. წურწუმია**

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

## ჩვენი მუშაობისა და ცხოვრების პირობები დიდად უმჯობესდება

15 დეკემბერს თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეები შეიკრიბნენ მიტინგზე, რომელიც მიძღვნილი იყო ახალი დადგენილებისადმი.

— სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 14 დეკემბრის დადგენილება,—სთქვა მიტინგზე ფაბრიკის პარტბიუროს მდივანმა ამხ. გ. ჩარაევმა,— უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტია. მისი განხორციელება უზრუნველჰყოფს ჩვენი ქვეყნის მშრომელების მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომ გაუმჯობესებას და ბოლოს მოუღებს ყოველგვარ სპეკულაციას. ეს დადგენილება ერთხელ კიდევ ადასტურებს საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკურ და ეკონომიურ ძლიერებას.

სიტყვას ამბობს კამვოლური საამქროს სტახანოველი მრთველი ნ. ზარქუა.

— დიდი სტალინის ხელმძღვანელობით გავიმარჯვეთ დიდ სამამულო ომში. მისივე ხელმძღვანელობით გადავდგით გიგანტური ნაბიჯი სახალხო მეურნეობის აღსადგენად და განსავითარებლად. დღეს ყველა ჩვენგანი გაახარა და აღაფრთოვანა ახალმა დადგენილებამ, რომელიც დიდად აუმჯობესებს ჩვენი მუშაობისა და ცხოვრების პირობებს. ეს ისტორიული ღონისძიება ჩვენც ბევრ რამეს გვავალდებულებს. ჩვენგან იგი მოითხოვს მუშაობის ტემპის გაძლიერებას, პროდუქციის ხარისხის განუწყვეტელ გაუმჯობესებას. ჩვენ მზადა ვართ ამ ვალდებულების შესასრულებლად.

მაუდის საამქროს მუშამ ა. გესელევამ და საქსოვი საამქროს სტახანოველმა ქსელისტატმა ვ. სვანიშვილმა თავიანთ მხურვალე პატრიოტულ სიტყვებში გამოხატეს ის აღფრთოვანება, რომელიც მათში გამოიწვია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ.

## მუშური პასუხი

თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში შემდგარ მიტინგს 800-მდე კაცი დაესწრო.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „ფულის რეფორმის გატარებისა და სასურსათო და სამრეწველო საქონელზე ბარათების გაუქმების შესახებ“—დამსწრეთ გააცნო ქარხნის დირექტორმა ამხ. გ. კიკნაძემ.

— სულით და გულით მივესალმები პარტიისა და მთავრობის ისტორიულ დადგენილებას, — განაცხადა სტახანოველმა ამხ. პ. მუხიგულაშვილმა,—ფულის რეფორმა და მომარაგების საბარათო სისტემის გაუქმება აამაღლებს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის დონეს, ხელს შეუწყობს სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებას, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცებას. ამ სასიხარულო დღის აღსანიშნავად ვკისრულობ გავაძლიერო მუშაობა, დღიური ნორმა შევასრულო 400 პროცენტით.

ტრიბუნაზეა სახელმოხვეჭილი სტახანოველი მჭედელი დ. ჩიმჩიური, რომელსაც უკვე შესრულებული აქვს 4 წლის ნორმა.

— ჩემს ხუთწლედს,—სთქვა მან, — სამ წელიწადში შევასრულებ. ეს იქნება ჩემი მუშური პასუხი პარტიისა და მთავრობის ისტორიულ დადგენილებაზე.

— საბჭოთა ქვეყანამ, — განაცხადა ქარხნის მთავარმა ინჟინერმა ამხ. გ. ნეფარიძემ, — უკვე მიაღწია მრეწველობის ომამდელ დონეს. პური წელს იმდენი მივიღეთ, რაც ომამდელ კარგ მოსავლიან წლებში. ფულის რეფორმა და მომარაგების საბარათო სისტემის გაუქმება საშუალებას გვაძლევს კიდევ უფრო თავდადებით ვიმუშაოთ, უკეთესად ვიცხოვროთ და გავწიოთ წინ ახალი გამარჯვებებისაკენ.

ავტოსარემონტო ქარხანაში უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობაა.

## დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება

დიდი პოლიტიკური აქტივობით მიმდინარეობს ქალაქ სოხუმში მშრომელთა მიტინგები, მიძღვნილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 14 დეკემბრის დადგენილებისადმი.

საკონსერვო ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა მიტინგზე ინჟინერმა მ. ფირცხელაშვილმა განაცხადა:

— ახალი დადგენილება კიდევ და კიდევ ცხადჰყოფს ჩვენი სახელმწიფოს სიძლიერეს, პარტიისა და მთავრობის განუხრელ ზრუნვას მშრომელთა მოთხოვნილებებისა და საჭიროებებისათვის.

ლაბორანტმა ალექსანდრა უვაროვამ, მექანიკოსმა ნ. ლისკომ მთელი კოლექტივის სახელით პირობა დასდეს თავდადებულად იმუშაონ ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესასრულებლად და იკისრეს კონკრეტული ვალდებულებანი.

მეფეხსაცმელეთა მიტინგზე კომბინატის დირექტორმა ტ. შარიამ, მექანიკოს-მარეგულირებელმა კ. მელქონიანმა, ეკონომისტმა მოლიშევამ აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხისათვის ფულის რეფორმის გატარებას და სასურსათო და სამრეწველო საქონელზე ბარათების გაუქმებას.

სოხუმის საწარმოთა კოლექტივები დადგენილების გაცნობასთან დაკავშირებით პირობას იძლევიან მაღალნაყოფიერად იმუშაონ საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცებისათვის.

**ს. შონია**

ქალაქ თბილისის სტალინის რაიონის № 112 საარჩევნო ოლქი

## ზაქარია ნიკოლოზის-ძე ჩხუბიანიშვილი

### რეგისტრირებულია თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად

16 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, შესდგა ქალაქ თბილისის სტალინის რაიონის № 112 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა. საარჩევნო კომისიის წევრებთან ერთად სხდომას დაესწრო საარჩევნო ოლქში შემავალ საწარმო-დაწესებულებათა მრავალი წარმომადგენელი.

სხდომა გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ვ. სალარიძემ. მან სთქვა:

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ზაქარია ნიკოლოზის-ძე ჩხუბიანიშვილმა თანხმობა განაცხადა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს ჩვენს საარჩევნო ოლქში. დარწმუნებული ვარ, ჩვენი ოლქის ყველა ამომრჩეველი ამხ. ჩხუბიანიშვილის თანხმობას კმაყოფილებით შეხვდება და 11 იანვარს ერთსულოვნად მისცემს მას ხმას.

რკინიგზის ვაჟთა მე-4 საშუალო სკოლის დამსახურებული მასწავლებელი გ. კენკაძე ამბობს:

— ამხ. ზაქარია ნიკოლოზის-ძე ჩხუბიანიშვილი ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილია. მას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი განვითარების საქმეში. ეჭვი არ არის, რომ ამხ. ჩხუბიანიშვილი გაამართლებს ამომრჩეველთა ნდობას.

— ჩვენი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა წინასაარჩევნო კრებამ, — განაცხადა მაუდ-კამვოლის ფაბრიკის სართავი საამქროს უფროსმა ამხ. ს. ქორიძემ, — თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დაასახელა ამხ ჩხუბიანიშვილი. ჩვენი კოლექტივის სახელით გამოვთქვამ დიდ კმაყოფილებას იმის გამო, რომ მან თანხმობა განაცხადა კენჭი იყაროს ჩვენს საარჩევნო ოლქში.

ქალაქის მესამე სტომატოლოგიური პოლიკლინიკის ექიმმა გ. ბრეგაძემ, ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოების დამამზადებელი ქარხნის საზეინკლო საამქროს მუშამ მ. ბადალოვმა, მესამე პოლიკლინიკის ექიმმა პ. გოლდბერგმა სთხოვეს საოლქო საარჩევნო კომისიას რეგისტრაციაში გაატაროს ამხ. ჩხუბიანიშვილის კანდიდატურა და მოუწოდეს ამომრჩევლებს ერთსულოვნად მისცენ მას ხმა 1948 წლის 11 იანვარს.

საოლქო საარჩევნო კომისიამ მიიღო დადგენილება — რეგისტრაციაში გაატაროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ზაქარია ნიკოლოზის-ძე ჩხუბიანიშვილი თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე ქალაქ თბილისის № 112 საარჩევნო ოლქში კენჭის საყრელად.

ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის № 336 საარჩევნო ოლქი

## გიორგი თევდორეს-ძე სტურუა

### რეგისტრირებულია თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად

16 დეკემბერს ქალთა მე-8 საშუალო სკოლის შენობაში შესდგა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების ორჯონიკიძის რაიონის № 336 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა. საარჩევნო კომისიის წევრებს გარდა სხდომას ესწრებოდნენ მშრომელთა წარმომადგენლები.

სხდომა გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ლ. გამსახურდიამ.

— აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა წინასაარჩევნო კრებამ,—ამბობს ამხ. გამსახურდია,—თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთხმად დაასახელა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. გიორგი თევდორეს-ძე სტურუა. ამხ. სტურუამ დააკმაყოფილა ფაბრიკის კოლექტივის თხოვნა. იგი დათანხმდა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს ჩვენს საარჩევნო ოლქში.

ამხ. გამსახურდია ლაპარაკობს დეპუტატობის თავიანთი კანდიდატის ამხანაგ გიორგი თევდორეს-ძე სტურუას დამსახურებაზე სამშობლოს წინაშე, საბჭოთა ხალხის წინაშე.

ამხ. სტურუა, — ამბობს იგი, — მთელ თავის შეგნებულ ცხოვრებას ახმარს ლენინ-სტალინის დიად საქმეს, ხალხის უანგარო სამსახურს. ამხ. სტურუა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის ღირსეული კანდიდატია.

მასწავლებელმა ქალმა ე. ლომაიამ მხურვალედ დაუჭირა მხარი აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივის კანდიდატურას.

— გიორგი თევდორეს-ძე სტურუა, —სთქვა მან,—ღირსეულად გაამართლებს მშრომელთა ნდობას. მოგიწოდებთ 11 იანვარს ერთსულოვნად მისცეთ ხმა დეპუტატობის ჩვენ ღირსეულ კანდიდატს.

საოლქო საარჩევნო კომისიამ მიიღო დადგენილება—რეგისტრაციაში გაატაროს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გიორგი თევდორეს-ძე სტურუა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე ქალაქ თბილისის № 336 საარჩევნო ოლქში კენჭის საყრელად.

# თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება

## ლენინის სახელობის რაიონი

რკინიგზის სამმართველოს ინჟინერ-ტექნიკოსებისა და მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 39 საარჩევნო ოლქში დაასახელა ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის მოადგილე **დავით ბარამის-ძე ტაბატაძე**, № 1 საარჩევნო ოლქში — გზის უფროსის მოადგილე **იოსებ მიხეილის-ძე მარინაშვილი**, № 41 საარჩევნო ოლქში — თბილისის ქალაქის მილიციის უფროსი **ვასილ ალმასხანის-ძე სიხარულიძე**, № 52 საარჩევნო ოლქში — საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პირველი მდივანი **მიხეილ მიხეილის-ძე ლელაშვილი**.

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ინჟინერ-ტექნიკოსთა და მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 2 საარჩევნო ოლქში დაასახელა ამავე ქარხნის საამქროს უფროსი **ნოე ქრისტეფორეს-ძე მიქაშავიძე**, № 7 საარჩევნო ოლქში — ქარხნის მოწინავე ხარატი **ნიკოლოზ თევდორეს-ძე გავრიკოვი**, № 8 საარჩევნო ოლქში—ქარხნის სტახანოველი ხარატი **ლიდა ივანეს ასული კილაძე**, № 11 საარჩევნო ოლქში — გოგორწყვილების საამქროს უფროსი **გურგენ არკადის-ძე სიმონიანი**, № 51 საარჩევნო ოლქში—ლენინის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **დავით ალექსის-ძე ჭიჭინაძე**, № 55 საარჩევნო ოლქში — ქარხნის საწარმოო განყოფილების უფროსი **ერემია ივანეს-ძე კოჭლავაშვილი**.

მუსიკალური კომბინატის კოლექტივმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 3 საარჩევნო ოლქში წამოაყენა ქალაქის გამწვანების ტრესტის მმართველი **იასონ იაგორის-ძე ჯიქიძე**, № 49 საარჩევნო ოლქში ამავე კომბინატის სტახანოველი დურგალი **ბახჩო გეორქის-ძე არუთინოვი**.

რკინიგზის საავადმყოფოს მუშა-მოსამსახურეთა და სამედიცინო პერსონალის საერთო კრებამ საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 4 საარჩევნო ოლქში წამოაყენა ამავე საავადმყოფოს ექიმი **კლარა მუხრანის ასული ხოჭოლავა**, № 29 საარჩევნო ოლქში — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი **ალექსანდრე თადეოსის-ძე ხელიძე**.

ტრიკოტაჟის კომბინატის მუშა-მოსამსახურეებმა დეპუტატობის კანდიდატად № 5 საარჩევნო ოლქში დაასახელა ამავე კომბინატის ოსტატი **ევდოკია გრიგოლის ასული კუდრიაშოვა**, № 6 საარჩევნო ოლქში — ფალიაშვილის სახელობის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი **დავით იასონის-ძე ანდღულაძე**, № 15 საარჩევნო ოლქში — კომბინატის დირექტორი **თადეოზ კალენიკეს-ძე გოგოლაძე**, № 16 საარჩევნო ოლქში — სტახანოველი მუშა **ელენე დავითის ასული კაზალიკაშვილი**.

კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 9 საარჩევნო ოლქში დაასახელა ამავე ქარხნის მუშაკი **ევდოკია სტეფანეს ასული სურგულაძე**, № 12 საარჩევნო ოლქში — ქარხნის პარტიული ორგანიზაციის მდივანი **კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე გოგლიძე**, № 13 საარჩევნო ოლქში — ამწყობი საამქროს უფროსი **მიხეილ ნოეს-ძე წეროძე**, № 18 საარჩევნო ოლქში — ქარხნის სტახანოველი მბურღავი **სალომე ივანეს ასული ალავერდაშვილი**, № 19 საარჩევნო ოლქში — ინჟინერ-ტექნოლოგი **სერგო ალექსანდრეს-ძე თათრიშვილი**, № 33 საარჩევნო ოლქში — სტახანოველი მემანქანე **ანა მიხეილის ასული მჭედლიშვილი**, № 42 საარჩევნო ოლქში — ქარხნის სტახანოველი **თამარ ვლადიმერის ასული ხანაძე**, № 28 საარჩევნო ოლქში — „ცენტროლიტის" დირექტორი **იასე მიხეილის-ძე სიხარულიძე**.

ქალაქის მეორე პოლიკლინიკის მოსამსახურეების წინასაარჩევნო კრებამ დეპუტატობის კანდიდატად № 14 საარჩევნო ოლქში დაასახელა ქალთა პირველი კონსულტაციის გამგე **ევგენია მოსეს ასული მეგრელიძე**, № 25 საარჩევნო ოლქში — ლენინის რაიონის ვენერიული დისპანსერის ექიმი **ანა ილარიონის ასული ნაცვლიშვილი**, № 26 საარჩევნო ოლქში — საბავშვო პოლიკლინიკის მთავარი ექიმის მოადგილე **ნადეჟდა გიორგის ასული კვიჟინაძე**.

მეშვიდე სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა დეპუტატობის კანდიდატად № 17 საარჩევნო ოლქში წამოაყენა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი **გიორგი აბესალომის-ძე რობაქიძე**, № 45 საარჩევნო ოლქში — მოწინავე მკერავი **ელენე ზაქარიას ასული დვალიშვილი**.

ავტოსარემონტო ქარხნის მუშათა კოლექტივმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 20 საარჩევნო ოლქში წამოაყენა ამავე ქარხნის დირექტორი **გიორგი ქრისტეფორეს-ძე კიკნაძე**, № 21 საარჩევნო ოლქში — მოწინავე ზეინკალი **პავლე მიხეილის-ძე მუხიგულაშვილი**, № 60 საარჩევნო ოლქში — ქარხნის მექანიკოსი **არტემ ოგანეზის-ძე ვართანოვი**.

მეოთხე სავაგონო უბნის მუშათა კოლექტივმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 22 საარჩევნო ოლქში დაასახელა ამავე უბნის მთავარი ბუღალტერი **თამარ დავითის ასული გრატიაშვილი**, № 38 საარჩევნო ოლქში — საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს ინჟინერი **გიორგი დავითის-ძე ხიზანიშვილი**, № 56 საარჩევნო ოლქში— ამავე უბნის ნორმადარი ამხ. **ნინო ვარლამის ასული მუქერია**.

ქალთა 21-ე საშუალო სკოლის პედაგოგიური პერსონალის საერთო კრებამ დეპუტატობის კანდიდატად № 23 საარჩევნო ოლქში დაასახელა ამავე სკოლის დირექტორი **თამარ ვასილის ასული ლაშქარაშვილი**, № 36 საარჩევნო ოლქში — მასწავლებელი **ელისაბედ ტარიელის ასული ლეშჩინსკაია**.

პირველი პოლიკლინიკის სამედიცინო პერსონალმა დეპუტატობის კანდიდატად № 24 საარჩევნო ოლქში წამოაყენა ამავე პოლიკლინიკის ექიმი **სოფიო თევდორეს ასული ბროცკინა**.

პირველი სამშობიარო სახლის მუშაკთა კოლექტივის საერთო კრებამ დეპუტატობის კანდიდატად № 27 საარჩევნო ოლქში დაასახელა ამავე სახლის დირექტორი **ვარლამ დავითის-ძე კანდელაკი**, № 30 საარჩევნო ოლქში— თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგის მოადგილე **ვლადიმერ თევდორეს-ძე ზაქარიაძე**.

ქალთა მე-19 საშუალო სკოლის პედაგოგიური პერსონალის საერთო კრებამ დეპუტატობის კანდიდატად № 31 საარჩევნო ოლქში დაასახელა ამავე სკოლის მასწავლებელი **სიდონია ივანეს ასული კალანდია**.

ქალთა 45-ე საშუალო სკოლის კოლექტივმა დეპუტატობის კანდიდატად № 32 საარჩევნო ოლქში დაასახელა ამავე სკოლის დირექტორი **თეო პორფილეს ასული თავამაიშვილი**.

ვაჟთა მე-15 საშუალო სკოლის კოლექტივმა საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 34 საარჩევნო ოლქში დაასახელა ამავე სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე **მარიამ სიმონის ასული ჯორჯაძე**.

ქალთა 22-ე საშუალო სკოლის პედაგოგიური პერსონალის საერთო კრებამ დეპუტატობის კანდიდატად № 35 საარჩევნო ოლქში დაასახელა ამავე სკოლის დირექტორი **ნატალია ანტონის ასული მუჯირი**.

ქარხანა „დაზგის" მუშათა კოლექტივის საერთო კრებამ საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 37 საარჩევნო ოლქში წამოაყენა ამავე ქარხნის დირექტორი **ალექსანდრე ანთიმოზის-ძე ბოკერია**.

აგურის მესამე ქარხნის მუშა-მოსამსახურეების საერთო კრებამ დეპუტატობის კანდიდატად № 40 საარჩევნო ოლქში წამოაყენა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების გამგე **დავით მინას-ძე ნოსელიძე**.

## ორჯონიკიძის სახელობის რაიონი

„ჰიდროენერგოტრესტის" თბილისის განყოფილების მუშა-მოსამსახურეების წინასაარჩევნო კრებამ საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 354 საარჩევნო ოლქში დაასახელა ამავე განყოფილების უფროსი **თადეოზ გიორგის-ძე გეგელია**.

თბილისის ქალთა მე-11 სომხური საშუალო სკოლის კოლექტივმა საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 357 საარჩევნო ოლქში დაასახელა ამავე სკოლის დირექტორი **აშხენ ხაჩატურის ასული პაპინიანი**.

თბილისის მე-9 პოლიკლინიკის მუშა-მოსამსახურეებმა საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 358 საარჩევნო ოლქში დაასახელეს ამავე კლინიკის ექიმი **თამარ ნიკოლოზის ასული იაშვილი**.

თბილისის ქალთა მე-5 საშუალო სკოლის კოლექტივმა საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 394 საარჩევნო ოლქში დაასახელა ამავე სკოლის პედაგოგი რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი **ნინო სამსონის ასული ნიჟარაძე**.

თბილისის № 3 საშაქარლამო ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებამ საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 374 საარჩევნო ოლქში დაასახელა ამავე ფაბრიკის დირექტორი **როზა ივანეს ასული ღლონტი**.

თბილისის ქალთა 42-ე საშუალო სკოლის კოლექტივის მიერ საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 393 საარჩევნო ოლქში დასახელებულია ამავე სკოლის დირექტორი **ნინო იოსების ასული მჭედლიშვილი**.

კურორტოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 370 საარჩევნო ოლქში დაასახელა ამავე ინსტიტუტის პროფესორი **დიმიტრი ვასილის-ძე ჯავახიშვილი**.

მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის მუშაკთა კოლექტივის მიერ თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 395 საარჩევნო ოლქში დასახელებულია ამავე ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი **ლევან ალექსანდრეს-ძე ყანჩაველი**.

## ბერიას სახელობის რაიონი

„კავტრანსპროექტის" მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კოლექტივმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 231 საარჩევნო ოლქში დაასახელა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივნის მოადგილე მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგში **ბორის ივანეს-ძე ლელინი**.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მუშაკთა კოლექტივმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 234 საარჩევნო ოლქში დაასახელა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ბერიას რაიკომის პირველი მდივანი **გრიგოლ დავითის-ძე ჟორჟიკაშვილი**.

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის ა/ტთა და მუშა-მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებამ თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 230 საარჩევნო ოლქში დაასახელა სტალინური პრემიის ლაურეატი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი **ვახტანგ მიხეილის-ძე ჭაბუკიანი**, № 227 საარჩევნო ოლქში — სტალინური პრემიის ლაურეატი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი **ეკატერინე ტარასის-ასული სოხაძე**, № 243 საარჩევნო ოლქში — ოპერის თეატრის დირექტორი **მამია იოსების-ძე დუდუჩავა**.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის მსახიობთა და მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივის მიერ თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 254 საარჩევნო ოლქში დასახელებულია სტალინური პრემიის ლაურეატი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი **გიორგი მიხეილის-ძე დავითაშვილი**, № 265 საარჩევნო ოლქში—საქართველოს სსრ სახალხო არტისტი **დიმიტრი გრიგოლის-ძე მჟავია**, № 270 საარჩევნო ოლქში — ამავე თეატრის დირექტორი **პოლიკარპე ლევანის-ძე მურღულია**.

გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატიული თეატრის მსახიობთა და მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 269 საარჩევნო ოლქში დაასახელა ამავე თეატრის დირექტორი **მიხეილ რომანის-ძე რუსლანოვი**.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 235 საარჩევნო ოლქში დაასახელა ამავე განყოფილების გამგე **ნოე კონსტანტინეს-ძე ბარკალაია**, № 249 საარჩევნო ოლქში — მშრომელთა დეპუტატების ბერიას რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ბიძინა პლატონის-ძე გოგოძე**.

თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორ-პედაგოგთა, სტუდენტთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 252 საარჩევნო ოლქში დაასახელა აკადემიის დირექტორი, სტალინური პრემიის ლაურეატი **უჩა მალაქიას-ძე ჯაფარიძე**, № 253 საარჩევნო ოლქში — არქიტექტურის აკადემიკოსი **ნიკოლოზ პავლეს-ძე სევეროვი**.

საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირის მუშაკთა კოლექტივმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 226 საარჩევნო ოლქში დაასახელა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მოქანდაკე **თამარ გრიგოლის ასული აბაკელია**, № 261 საარჩევნო ოლქში — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე **ქეთევან კონსტანტინეს ასული მაღალაშვილი**.

პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის კოლექტივმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 247 საარჩევნო ოლქში დაასახელა ამავე ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი **არჩილ კირილეს-ძე ხარაძე**, № 250 საარჩევნო ოლქში — ინსტიტუტის დოცენტი **თამარ ალექსანდრეს ასული ხარაზიშვილი**.

რადიოქარხნის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კოლექტივმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 255 საარჩევნო ოლქში დაასახელა ამავე ქარხნის დირექტორი **პეტრე პავლეს-ძე კანკავა**, № 263 საარჩევნო ოლქში — მუშა **თევდორე ივანეს-ძე შირიაევი**.

სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორ-პედაგოგთა, სტუდენტთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 251 საარჩევნო ოლქში დაასახელა კომპოზიტორი **დიმიტრი ეგნატეს-ძე არაყიშვილი**.

საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მუშაკთა კოლექტივმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 233 საარჩევნო ოლქში დაასახელა სპორტის დამსახურებული ოსტატი **ნინო იაკობის ასული დუმბაძე**.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 237 საარჩევნო ოლქში დაასახელა სპეცგანყოფილების გამგე **აბესალომ არტემის-ძე კერესელიძე**.

ტრესტ „თბილპროექტის" მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კოლექტივმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 271 საარჩევნო ოლქში დაასახელა ამავე ტრესტის მმართველი **ალექსანდრე ალექსის-ძე თევზაძე**.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საამშენებლო ინსტიტუტის აკადემიკოსთა, მეცნიერ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა დეპუტატობის კანდიდატად № 262 საარჩევნო ოლქში დაასახელა პროფესორი **ლევან ნიკოლოზის-ძე დიასამიძე**.

ტრესტ „თელასის" მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კოლექტივმა დეპუტატობის კანდიდატად № 236 საარჩევნო ოლქში დაასახელა ამავე ტრესტის მმართველი **გაბრიელ დიმიტრის-ძე კუპრაძე**.

მე-13 პოლიკლინიკის კოლექტივის მიერ დეპუტატობის კანდიდატად № 266 საარჩევნო ოლქში დასახელებულია ამავე პოლიკლინიკის კონსულტანტი დამსახურებული ექიმი **გრიგოლ მაქსიმეს-ძე რეკვავა**, № 267 საარჩევნო ოლქში — ამავე პოლიკლინიკის ბავშვთა კონსულტაციის გამგე **სუსანა გიორგის-ასული იარალოვა**.

„ზარია ვოსტოკას" სტამბის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 257 საარჩევნო ოლქში დაასახელა მკინძავი ქალი **მარიამ ნიკოლოზის ასული ურთმელიძე**.

ქალთა პირველი საშუალო სკოლის პედაგოგთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა დეპუტატობის კანდიდატად № 242 საარჩევნო ოლქში დაასახელა ამავე სკოლის დირექტორი **თამარ მიხეილის ასული დარახველიძე**.

ვაჟთა პირველი საშუალო სკოლის პედაგოგთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა დეპუტატობის კანდიდატად № 228 საარჩევნო ოლქში დაასახელა ამავე სკოლის დირექტორი **კონსტანტინე ივანეს-ძე ჯორჯიკია**, № 268 საარჩევნო ოლქში — პედაგოგი **ბარბარე სიმონის ასული მჭედლიძე**.

ვაჟთა რუსული მე-3 საშუალო სკოლის პედაგოგთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა დეპუტატობის კანდიდატად № 273 საარჩევნო ოლქში დაასახელა ამავე სკოლის მასწავლებელი **სოფიო იოსების ასული მიშინა**.

ტრესტ „საქნავთის" მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კოლექტივმა დეპუტატობის კანდიდატად № 246 საარჩევნო ოლქში დაასახელა ამავე ტრესტის მმართველი **ალექსანდრე არტემის-ძე კამლაძე**.

თბილისის ავტომატური ტელეფონის სადგურის მუშაკთა კოლექტივმა დეპუტატობის კანდიდატად № 260 საარჩევნო ოლქში დაასახელა ამავე სადგურის დირექტორი **ნიკოლოზ ვლადიმერის-ძე ჯავახიშვილი**.

პირველი საბავშვო ბაღის მოსამსახურეთა და მასწავლებელთა კოლექტივმა დეპუტატობის კანდიდატად № 248 საარჩევნო ოლქში დაასახელა ამავე ბაღის გამგე **ნატალია ფილიპეს ასული უნაფქოშვილი**.

„რეზინოტრესტის" თბილისის კანტორის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივის მიერ საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 222 საარჩევნო ოლქში დასახელებულია ამავე კანტორის მმართველი **მინა ვლადიმერის ასული შიხმანი**.

თბილისის გამწვანების ტრესტის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა დეპუტატობის კანდიდატად № 256 საარჩევნო ოლქში დაასახელა ამავე ტრესტის მთავარი ინჟინერი **გარსევან ნესტორის-ძე კალანდაძე**.

თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 259 საარჩევნო ოლქში დასახელებულია **სიმონ გიორგის-ძე კაჭარავა**.

„თბილვაჭრობის" სამკერვალო კომბინატის მუშაკთა კოლექტივმა დეპუტატობის კანდიდატად № 238 საარჩევნო ოლქში დაასახელა მკერავი ქალი **ნინა მიხეილის ასული ჯაფარიძე**.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამხედრო პროკურატურის მუშაკთა კოლექტივმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 225 საარჩევნო ოლქში დაასახელა იუსტიციის მაიორი **მიხეილ ყარამანის-ძე ლომიძე**.

ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის მუშაკთა კოლექტივმა დეპუტატობის კანდიდატად № 245 საარჩევნო ოლქში დაასახელა ამავე ინსტიტუტის ონკოლოგიური კათედრის ასისტენტი **ლიდა პავლეს ასული გრიგოლია**.

სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მუშაკთა კოლექტივის მიერ დეპუტატობის კანდიდატად № 274 საარჩევნო ოლქში დასახელებულია უფროსი ინსპექტორი **თამარ მხითარის ასული ანდრიასიანი**.

ქალთა მე-4 საშუალო სკოლის პედაგოგთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა დეპუტატობის კანდიდატად № 224 საარჩევნო ოლქში დაასახელა ამავე სკოლის დირექტორი **ანა ვასილის ასული ტიმოფეევა**.

ცენტრალური ტელეგრაფის ინჟინერ-ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა დეპუტატობის კანდიდატად № 232 საარჩევნო ოლქში დაასახელა ბრიგადირი **მარიამ ნიკოლოზის ასული ქავთელაძე**.

ქალაქის სახანძრო რაზმის სამმართველოს კოლექტივის მიერ თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 258 საარჩევნო ოლქში დასახელებულია სამმართველოს უფროსი **ერი ანტონის-ძე პაჭკორია**.

# გაშლილი საბჭოთა ვაჭრობის პირველი დღე თბილისში

თბილისელები დიდი ინტერესით მოელოდნენ 16 დეკემბერს — გაშლილი საბჭოთა ვაჭრობის დაწყების, სასურსათო და სამრეწველო საქონლის ბარათების გაუქმების პირველ დღეს.

ღამით ქალაქის ქუჩებში ჩვეულებრივზე მეტი რაოდენობით მიმოჰქროდნენ პურსაზიდი დიდი დახურული ავტომობილები წარწერით „პური". პურსაცხობ დიდსა და პატარა ქარხნებში წუთითაც არ შეწყვეტილა მუშაობა. 140 პურის სავაჭრო მაღაზია, დუქანი და ფარდული უნდა მოემარაგებინათ პურით ამ ქარხნებს დილის 6 საათამდე, თორემ... რას იტყოდა მომხმარებელი, თუ დილის 7 საათზე, მაღაზიების გახსნის დროისათვის, მას პურის შესაძენად ლოდინი დასჭირდებოდა!

ღამის განმავლობაში თითქმის მთელი პურის სავაჭრო ქსელი მომარაგებულ იქნა ახლად გამომცხვარი პურით. გათენდა, და დაიწყო პურის სავაჭრო ქსელის ახლებურად მუშაობის პირველი დღე. იშვიათი იყო ისეთი მაღაზია, სადაც მომხმარებლებს დილის საათებშიც კი რიგში ჩადგომა და ლოდინი დასჭირებოდათ. ლამაზად მოწყობილ მაღაზიებში სუფთად ჩაცმული დახლის მუშაკები ისტუმრებდნენ მომხმარებლებს, პურის გამყიდველებს. ბევრგან მაღაზიათა გამგეებმა წინასწარ დაიკავეს თადარიგი, მიიღეს ზომები, რომ პურზე რიგი არ შექმნილიყო, ვინაიდან ჯერ-ჯერობით, ვიდრე პურის ახალი მაღაზიები ყველგან კიდევ არაა მზად, ამ მაღაზიებს შედარებით დიდი უბნების მომსახურება უხდებათ. ასე მოიქცა, მაგალითად, საქართველოს პურის ტრესტის მე-5 მაღაზიის გამგე დ. თავბერიძე (ლენინის რაიონი), რომელმაც წინასწარ მოიმარაგა პური, მომხმარებლებზე პურის გასაცემად მოაწყო რამდენიმე სასწორი. იქვე კი, მის მეზობლად, პურის მეორე დუქანში (გამგე ა. პატარქალიშვილი) მიღებული პური შუადღემდე გაასაღეს და მხოლოდ შემდეგ მოისაზრეს გამომცხვარი პურის ახალი პარტიის მიღებისათვის ზრუნვა.

შედარებით მეტი რაოდენობით ეტანებოდნენ მომხმარებლები ქართული პურის საცხობებს, რომელთა რაოდენობაც ჯერჯერობით ქალაქში საკმარისი არაა.

16 დეკემბერი მეტად გამოცოცხლებული ვაჭრობის დღე იყო სასურსათო და სამრეწველო საქონლის მაღაზიებში. დიდძალი მყიდველი გამოუჩნდა ისეთ საქონელსაც კი, რომლებიც კომერციული ფასებით ვაჭრობის პერიოდში სწრაფად არ საღდებოდა (ველოსიპედი, ძვირფასი ქურქელი, მუსიკალური ინსტრუმენტები და ა. შ.).

მაღაზიებში მომხმარებელთა სიმრავლის შედეგად ბევრგან რიგები გაჩნდა ისეთი საქონლის შეძენაზე, როგორიცაა შაქარი, ხორცეული პროდუქტები, ტკბილეული, საპონი, რძის ნაწარმი და სხვა. აქაც იგივე სურათი იყო, როგორც პურის სავაჭრო ქსელში: სადაც მაღაზიათა ხელმძღვანელები ალღოიანი აღმოჩნდნენ, იქ რიგებიც ნაკლები იყო და ვაჭრობაც, მიუხედავად მომხმარებელთა სიმრავლისა, წესიერად სწარმოებდა. ერთერთი ასეთი სავაჭროთაგანი, სადაც გაშლილი ვაჭრობის დაწყებას ორგან ზებულად შეხვდნენ, იყო „გასტრონომის" მეშვიდე მაღაზია (გამგე შ. ჯანგულაშვილი). ამ მაღაზიაში ვაჭრობა ერთი წუთითაც არ შეფერხებულა, ვინაიდან სარეალიზაციო საქონლის ასორტიმენტი იქვე ჰქონდათ მომარაგებული.

* * *

გაშლილი საბჭოთა ვაჭრობის პირველი დღის შედეგები ბევრ საგულისხმო გაკვეთილს აძლევს სავაჭრო დარგის მუშაკებს. ახლა საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს ვაჭრობის ორგანიზაციის ტექნიკურ მხარეს. მაღაზიებში წინასწარ უნდა მოიმარაგონ მეორე დღისათვის საჭირო მთელი საქონლის მარაგი, მასობრივი მოთხოვნილების საქონლის გასასყიდად მოაწყონ რამდენიმე ადგილი, მოლარეები წინასწარ მოამარაგონ ხურდა ფულით, ხოლო დახლის მუშაკები გამართული ინვენტარით (სასწორი, საზომი და საჭრელი), მიიზიდონ მომხმარებელთა აქტივი მაღაზიაში კულტურული საბჭოთა ვაჭრობისათვის თვალყურის სადევნებლად.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დახლის მუშაკთა შორის ულირსი ადამიანების გამოვლინებას. აქა-იქ 16 დეკემბერსაც ჰქონდა ადგილი მომხმარებელთა მოტყუების ცდას, რაც ერთხელ და სამუდამოდ უნდა აღიკვეთოს.

**დ. ამირანიძე**

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური

საბჭოს პრეზიდიუმში

# პროფკავშირთა ამოცანები ფულის რეფორმის გატარებისა და საბარათო სისტემის გაუქმების შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებასთან დაკავშირებით

15 დეკემბერს მოსკოვში, კავშირების სახლის ოქტომბრის დარბაზში ამხ. ვ. ვ. კუზნეცოვის თავმჯდომარეობით შესდგა პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტების თავმჯდომარეებისა და სამინისტროთა წარმომადგენლების მონაწილეობით.

დღის წესრიგში იყო — პროფკავშირთა ამოცანები ფულის რეფორმის გატარებისა და სასურსათო და სამრეწველო საქონელზე ბარათების გაუქმების შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებასთან დაკავშირებით.

მოხსენება გააკეთა პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს მდივანმა ამხ. ლ. ნ. სოლოვიოვმა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ეს ისტორიული დადგენილება მიმართულია სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისაკენ.

ამხ. სოლოვიოვმა აღნიშნა, რომ ბარათების გაუქმება მოითხოვს სავაჭრო აპარატის მნიშვნელოვან შეცვლასა და გაუმჯობესებას. მყიდველი გადიდებულ მოთხოვნებს წაუყენებს საქონლის ხარისხსა და ასორტიმენტს. ვაჭრობის მუშაკებმა უნდა გააძლიერონ ბრაკერაჟი და არ მიიღონ ცუდი და ისეთი საქონელი, რომელიც საჭირო არ არის. მუდმივ ყურადღებას მოითხოვენ მაღაზიების, სასადილოების, სავაჭრო საწყობებისა და ბაზების მუშაობის გაუმჯობესების საკითხები. პროფკავშირული ორგანიზაციების წინაშე ამჟამად ისახება პასუხსაგები ამოცანა — ფართოდ განუმარტონ მშრომელებს პარტიისა და მთავრობის დადგენილების ისტორიული მნიშვნელობა. პროფორგანიზაციებმა ყოველდღიური და მტკიცე მასობრივი კონტროლი უნდა დააწესონ სავაჭრო საწარმოთა და საზოგადოებრივი კვების მუშაობისადმი და ამ მუშაობაში ჩააბან პროფკავშირული აქტივი. საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლა ვაწარმოოთ კულტურული საბჭოთა ვაჭრობის პრინციპების დარღვევის წინააღმდეგ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უფრო უნდა გავაფართოოთ სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა კულტურული ვაჭრობისათვის, რაც მიმართულია მშრომელთა საჭიროების სრული დაკმაყოფილებისაკენ.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს საავიაციო მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ბერეზინმა, დასავლეთი რაიონების ქვანახშირის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ზაიცევმა, საზოგადოებრივი კვების მუშაკებისა — ამხ. რუჩკინმა, სახელმწიფო ვაჭრობის მუშაკთა პროფკავშირისა — ამხ. კირეევმა და სხვებმა. (საკდესი).

# ცნობა

## საბჭოთა კავშირ-ფინეთის საზღვრის დემარკაციის დამთავრების შესახებ

საბჭოთა კავშირ—ფინეთის შერეულმა სადემარკაციო კომისიამ, რომელიც შეიქმნა შესაბამისად სსრ კავშირისა და ფინეთის რესპუბლიკის 1947 წლის 3 თებერვლის ხელშეკრულებისა იმის შესახებ, რომ გადაცემულ იქნას საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ფინეთის სახელმწიფო ტერიტორიის ნაწილი იანისკოსკის ჰიდროელექტროსადგურისა და ნისკაკოსკის მარეგულირებელი კაშხლის რაიონში, დაამთავრა საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის საზღვრის დემარკაცია აღნიშნულ რაიონში.

საბჭოთა დელეგაციამ შერეულ კომისიაში თავმჯდომარის ი. ვ. მაევსკის, წევრების ა. ვ. ზოტოვის, მ. ვ. პეტრუნკინის, ლ. ა. ოლხოვსკისა და ი. მ. კორიონოვის შემადგენლობით და ფინეთის დელეგაციამ თავმჯდომარის ა. ბონსდორფის, წევრების ა. მანერის, ვ. ჰეისკანენის, კ. სომერტოს და ვ. ურსინის შემადგენლობით ქალაქ ჰელსინკში ხელი მოაწერეს ოქმს—საზღვრის ხაზის გავლის აღწერილობას, რუკებს და სხვა დოკუმენტებს.

ამ დოკუმენტების ხელმოწერას დაესწრნენ: სსრ კავშირის ელჩი ფინეთში ა. ნ. აბრამოვი და ფინეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი კ. ენკელი.

ამა წლის ივნისში დაწყებული სადემარკაციო მუშაობა მიმდინარეობდა ორივე მხარის სრული ურთიერთგაგებისა და თანხმობის სულისკვეთებით.

# ვაჭრობის დარგის მუშაკთა ამოცანები

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის 14 დეკემბრის დადგენილებამ „ფულის რეფორმის გატარებისა და სასურსათო და სამრეწველო საქონელზე ბარათების გაუქმების შესახებ" ახალი სახელოვანი ფურცელი გადაშალა საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში.

ფულის რეფორმის გატარებასთან ერთად სასურსათო და სამრეწველო საქონლის ბარათების გაუქმება, გარდა იმისა, რომ განამტკიცებს მანეთის კურსს, იწვევს მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასის ზრდას, მოსახლეობის მყიდველობითი უნარის გადიდებას, ხალხის ეკონომიური კეთილდღეობის დონის თვალსაჩინო ამაღლებას.

ფულის მიმოქცევის მოწესრიგება, ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდება და საცალო საქონელბრუნვის გაფართოება ჰქმნიან ყველა პირობას იმისათვის, რომ მომავალში განხორციელდეს ფასების შემდგომი შემცირება, რაც კიდევ უფრო გაადიდებს მუშა-მოსამსახურეთა რეალურ ხელფასს და კოლმეურნეთა შემოსავალს.

სავსებით გასაგებია, რომ დიდი სამამულო ომის პერიოდში საბარათო სისტემა აუცილებელი იყო. საბჭოთა სახელმწიფო იძულებული გახდა შეემცირებინა მოხმარება ზურგში, რათა არ შეფერხებულიყო ფრონტზე არმიის რეგულარული მომარაგება. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად შემცირდა მოსახლეობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად ფართო მოხმარების საქონლის წარმოება და საცალო საქონელბრუნვა. ამავე დროს მიმოქცევაში მყოფი ფულის რაოდენობა ბევრად იმაზე მეტი აღმოჩნდა, ვიდრე საჭიროა სახალხო მეურნეობისათვის. ამან გამოიწვია ფულის მყიდველობითი უნარის შემცირება. მიუხედავად ამისა, საბარათო სისტემის შემოღებამ საშუალება მოგვცა უცვლელად შეგვენარჩუნებინა ნორმირებული საქონლის ომამდელი სახელმწიფო ფასები.

მაგრამ სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის შემცირებამ მაშინ, როდესაც მოსახლეობის მოთხოვნილება შეუნელებლივ იზრდებოდა, გამოიწვია დიდი სხვაობა სახელმწიფო და საბაზრო ფასებს შორის, რითაც ისარგებლეს სპეკულაციურმა ელემენტებმა მოსახლეობის ხარჯზე გასამდიდრებლად. ამასთან სპეკულაციური ელემენტები იყენებდნენ გერმანელი და სხვა ოკუპანტების მიერ გამოშვებულ ყალბ ფულს.

სამამულო ომის დროს გამოშვებული დიდძალი ფული აბრკოლებდა საბარათო სისტემის გაუქმებას, გაშლილ საბჭოთა ვაჭრობაზე გადასვლას. ფულის რეფორმის გატარებამ ასეთ მდგომარეობას ბოლო მოუღო და შექმნა საბარათო სისტემის გაუქმების შესაძლებლობა.

საბარათო სისტემის გაუქმებას წინ უძღოდა დიდი სამზადისი, რასაც საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. მთავრობის სპეციალური დადგენილებით, რომელიც სავაჭრო ქსელის გაფართოებას ეხება, სავაჭრო ორგანიზაციებს დაუბრუნდათ ყველა სავაჭრო შენობა, რომელიც ომის დროს და საბარათო სისტემით ვაჭრობის პერიოდში არადანიშნულებისამებრ იყო გამოყენებული. ამავე დროს გამოყოფილ იქნა მნიშვნელოვანი თანხები ამ შენობათა შესაკეთებლად და მოსაწყობად.

1946 წელს საქართველოში ყველა სავაჭრო ორგანიზაციის სავაჭრო ქსელის კეთილმოსაწყობად დაიხარჯა 16 მილიონი მანეთი. მარტო რესპუბლიკური სავაჭრო ორგანიზაციებისა და საზოგადოებრივი კვების ტრესტების მიერ ამ წელს სავაჭრო ქსელის აღდგენისა, რემონტისა და კულტურულად მოწყობისათვის დაიხარჯა 18 მილიონ მანეთზე მეტი. ამრიგად, 1946 და 1947 წლების მანძილზე სავაჭრო ქსელის გაშლილი ვაჭრობისათვის მოსამზადებლად გაწეული ხარჯები შეადგენენ 35 მილიონ მანეთს. მიმდინარე წლის დეკემბრის პირველი ნახევრის განმავლობაში გათავისუფლებული და სავაჭრო ორგანიზაციებისათვის გადაცემულია 86 სავაჭრო შენობა. ამის შედეგად მარტო თბილისში პურის სავაჭრო მაღაზიებისა და დუქნების რაოდენობა ... ერთეულით მეტი იქნება, ვიდრე 1940 წელს იყო. 1940 წელთან შედარებით 1948 წელს საცალო სავაჭრო ქსელის საწარმოთა რაოდენობა 209 ერთეულით, ხოლო საზოგადოებრივი კვების ქსელისა 149 ერთეულით მეტი იქნება. საგრძნობლად ფართოვდება სავაჭრო ქსელი როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

დიდი მუშაობაა გაწეული სავაჭრო დარგის მუშაკთა დამატებითი კადრების მოსამზადებლად, რათა ამ მხრივ უზრუნველყოფილ იქნას უბარათოდ ვაჭრობის გაშლა. 15 დეკემბრისათვის კურსებით მომზადებული და გამოშვებულია 450 სავაჭრო დარგის მუშაკი, რომლებიც მუშაობენ რესპუბლიკურ და ადგილობრივ სავაჭრო ორგანიზაციებში და საზოგადოებრივი კვების ქსელში.

ყველა საჭირო ზომებია მიღებული იმისათვის, რომ მოისპოს ფასების სხვადასხვაობა და დამკვიდრდეს ერთიანი ფასები. სავაჭრო ქსელის განკარგულებაში დიდძალი სასაქონლო რესურსებია.

ლენინგრადის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების მგზნებარე პატრიოტულმა მოწოდებამ ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ, რამაც მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა მთელს საბჭოთა კავშირში, გამოიწვია ახალი მძლავრი შრომითი აღმავლობა, შრომის ნაყოფიერების მძლავრი ზრდა. ეს იმას ნიშნავს, რომ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარება მზარდი ტემპით იწარმოებს, ჩვენ სულ მეტი და მეტი რაოდენობის პროდუქციას მივიღებთ მშრომელთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ეს არის საბარათო სისტემის გაუქმების მტკიცე საფუძველი.

ისეთი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიების წარმატებით განხორციელება, როგორიც საბარათო სისტემის გაუქმება და ნორმალურ საქონელბრუნვაზე გადასვლაა, დამოკიდებულია იმაზეც, თუ რამდენად მომზადებული აღმოჩნდებიან ამისათვის ცალკეული სავაჭრო ორგანიზაციები, მუშათა მომარაგების განყოფილებები, სასურსათო საქონლის მომმარაგებელი ორგანიზაციები, რამდენად ოპერატიულად, მოქნილად იმუშავებენ ისინი მომხმარებელთა გაზრდილი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ვაჭრობის ორგანიზაციის საკითხებს. ვაჭრობა ისე უნდა მოვაწყოთ, რომ სამრეწველო და სასურსათო საქონელი მოხვდეს უშუალოდ მომხმარებლის ხელში. ამ საქმეში სავაჭრო ქსელის მუშაკებს დახმარება უნდა აღმოუჩინონ თვითონ მომხმარებლებმა, პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, საზოგადოებრივი კონტროლის მუშაკებმა.

სავაჭრო ქსელი ახლა ისე ფართოდაა გაშლილი, ისე უხვადაა იგი მომარაგებული საქონლის რესურსებით, რომ სრულიად შეუფერხებლად შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნას მომხმარებელთა მოთხოვნილება როგორც სასურსათო, ისე სამრეწველო საქონელზე. სავაჭრო ორგანიზაციებმა უნდა შესძლონ თვითეულ მაღაზიაში საქონლის თანაბრად შეზიდვის საქმის მოწესრიგება. ამასთან საჭიროა საქონლის წინასწარ შეფუთვის საქმის მოგვარება. ვიტრინაზე გამოფენილ საქონელს უნდა ჰქონდეს იარლიყი, რომელზეც აღნიშნული იქნება ფასი. სავაჭროები, აგრეთვე საზოგადოებრივი კვების საწარმოები აუცილებელია მოვამარაგოთ ერთიანი საპრეისკურანტო ფასების მაჩვენებლებით მომხმარებელთათვის გასაცნობად.

სავაჭროებში მომსახურე პერსონალი შერჩეულ უნდა იქნას პატიოსანი, თავისი საქმის საფუძვლიანად მცოდნე და გულისხმიერი მუშაკებისაგან. საბჭოთა მომხმარებელს უფლება აქვს მოითხოვოს, რომ მას მზრუნველად, გულისხმიერად მოეპყრონ. ვაჭრობის დარგის ის მუშაკები, რომლებსაც ეს არ ესმით და უხეშად მოეპყრობიან მომხმარებელს ან დაამახინჯებენ საბჭოთა კულტურული ვაჭრობის წესებს, დაუყოვნებლივ იქნებიან განდევნილი სავაჭრო ქსელიდან.

სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკების მოვალეობაა არ დაუშვან საქონლის განაწილება, არამედ შეუდგნენ ნამდვილად კულტურული საბჭოთა ვაჭრობის გაჩაღებას.

საჭიროა მივაღწიოთ სავაჭრო ქსელის შემდგომ გაფართოებას, რათა საქონელი დავუახლოვოთ მომხმარებელს. კიდევ უფრო ლამაზად და მიმზიდველად მოვაწყოთ სავაჭროები. უნდა გავაფართოოთ და გავაუმჯობესოთ სასაწყობო მეურნეობა, სავაჭროების მთელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს, რომ გამოყოფილი საქონლის ფონდები მომწოდებლებმა მთლიანად აითვისონ, რათა არავითარ შემთხვევაში არ შეფერხდეს საქონლის დეცენტრალიზებული შესყიდვა, როგორც საქართველოს ფარგლებში, ისე ამ ფარგლებს გარეთ. ამასთან სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა მთავარი ყურადღება იმას უნდა მიაქციონ, რომ შესყიდული საქონელი როგორც ხარისხით, ისე ასორტიმენტით სავსებით მისაღები იყოს. ჩვენმა სავაჭრო ორგანიზაციებმა უსათუოდ უნდა მოახდინონ გავლენა მრეწველობაზე იმ მხრივ, რომ სამრეწველო საწარმოებმა მიაღწიონ პროდუქციის ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებას და ასორტიმენტის გაფართოებას. სავაჭრო დარგის ის მუშაკი, რომელიც დაბალხარისხოვან საქონელს მიიღებს, პასუხისგებაში უნდა იქნას მიცემული. უკვე განვლო ის დრო, როდესაც მომხმარებელი არ აქცევდა ყურადღებას საქონლის ხარისხს და იძულებული იყო ეყიდა ყველაფერი, რასაც მას აძლევდნენ. საბჭოთა მომხმარებლის მოთხოვნილება ახლა დიდად გაზრდილია. ეს მოთხოვნილება მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება. მომხმარებელთა მოთხოვნილების სრულად დაკმაყოფილება სავაჭრო დარგის მუშაკთა საპატიო მოვალეობაა.

ნამეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, ნედლეულისა და სამრეწველო საქონლის თვითშესყიდვის გარდა, სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა ხელი უნდა მიჰყონ დამხმარე სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საწარმოთა ქსელის შემდგომ გაფართოებას.

მზა ტანსაცმლის, ტრიკოტაჟის მაღაზიებსა და უნივერსალურ მაღაზიებში მოწყობილი იქნება სახელოსნოები გასასყიდი მზა საქონლის წინასწარ მოსამზადებლად (გაუთოება, გაწმენდა). ამ სახელოსნოებში მომხმარებელთა სურვილისამებრ იწარმოებს აგრეთვე იქვე შეძენილი ტანსაცმლის სახელდახელოდ გადაკეთება. ყველა სასადილოში დამზადდება სამი თავი პირველი კერძი და ხუთი თავი მეორე კერძი და არანაკლებ ხუთი თავი ცივი და ცხელი საუზმე, ხოლო რესტორანებსა, საჩაიეებსა და ყავახანებში, აგრეთვე სასაუზმეებში უნდა ექნეთ კიდევ უფრო ფართო ასორტიმენტის კერძები.

საწარმოებსა, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში მოეწყობა ბუფეტების ფართო ქსელი. აღდგენილი და გაფართოებული იქნება სამკურნალო-დიეტიკურ და ვეგეტარიანულ სასადილოთა, აგრეთვე მოსწავლეთა სასადილოების ქსელი. საგრძნობლად გაუმჯობესდება იმ სასადილოთა მუშაობა, რომლებიც მომსახურებას უწევენ საფაბრიკო-საქარხნო სკოლების მოსწავლეებს.

უსათუოდ უნდა მივაღწიოთ მუშათა მომარაგების განყოფილებების, განსაკუთრებით მრეწველობის ისეთი წამყვანი დარგების მუშათა მომარაგების განყოფილებათა მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებას, როგორიც არიან ქვანახშირის, ნავთის, მარგანეცის მრეწველობა, სამშენებლო ორგანიზაციები და სხვა. მუშათა მომარაგების განყოფილებათა ორგანიზაციამ სავსებით გაამართლა თავისი დანიშნულება და ამიტომ იგი შენარჩუნებულ იქნება კიდევ ხანგრძლივი დროის განმავლობაში. მუშათა მომარაგების განყოფილებები საგრძნობლად აადვილებენ მომხმარებლებთან სამრეწველო და სასურსათო საქონლის მიახლოების ამოცანას. მუშათა მომარაგების განყოფილებებმა ისე უნდა მოაწყონ საქმე, რომ მათი საწარმოს მუშებისა და მოსამსახურეებისათვის განკუთვნილი საქონელი უკლებლივ მიიღონ.

გაშლილ საბჭოთა ვაჭრობაზე გადასვლასთან დაკავშირებით სრულიად ახალი ამოცანები ისახება სამომხმარებლო, სარეწაო და ინვალიდთა კოოპერაციული ორგანიზაციების წინაშე. მათ კიდევ უფრო უნდა გააძლიერონ თავიანთი ნაწარმის გამოშვება. სამომხმარებლო კოოპერაციამ ისე უნდა აწარმოოს სოფლად ნამეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვა, რომ სპეკულაციურ ელემენტებს იქ გასაქანი აღარ ექნეთ. ამასთან ერთად სამომხმარებლო კოოპერაციამ დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს სოფლის ინტელიგენციის, საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეებისა, საბავშვო და სამკურნალო დაწესებულებათა მომსახურების მაღალ დონეზე დაყენებას.

საკოლმეურნეო ბაზრები კვლავ დიდ როლს შეასრულებენ ქალაქთა მოსახლეობის მომარაგების საქმეში. კოლმეურნეობათა გამგეობებმა ისე უნდა მოაწყონ ბაზარზე ნამეტი პროდუქტების გამოტანა, რომ სპეკულაციურ ელემენტებს ეს პროდუქტები ხელში არ ჩაუვარდეს. საკოლმეურნეო ვაჭრობის ბაზრების კეთილმოსაწყობად ბევრი რამ კეთდება დიდად უმჯობესდება აგრეთვე ბაზარზე ჩამოსულ კოლმეურნეთა მომსახურება. სავაჭრო ორგანიზაციები მოწოდებული არიან საკოლმეურნეო ბაზრებზე მოაწყონ შემხვედრი ვაჭრობა.

საბჭოთა კულტურული ვაჭრობის წარმატება ბევრადაა დამოკიდებული ჩვენი რკინიგზის ტრანსპორტის გამართულ მუშაობაზე. რკინიგზელებს ახლა მეტად, ვიდრე ოდესმე, მოეთხოვებათ მუშაობის ტემპის გაძლიერება, გადიდებული ტვირთბრუნვის გეგმების წარმატებით შესრულება, რაც იმის საწინდარი იქნება, რომ მაღაზიებში მუდამ უხვად გვექნება საქონელი.

გიგანტური ნაბიჯით მიდის ჩვენი ქვეყანა წინ, მოხმარების საქონლისა და პროდუქტების სიუხვისაკენ, მშრომელთა მოთხოვნილებების სავსებით დაკმაყოფილებისაკენ. საბჭოთა ვაჭრობის ყველა რგოლის მუშაკები მოწოდებული არიან იმუშაონ თავდადებით, ერთგულად, პატიოსნად და ღირსეულად განახორციელონ მათს წინაშე ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, დიდი სტალინის მიერ დასახული ამოცანები.

**ს. არობელიძე**

საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი

# ჩაიშალა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს ლონდონის სესიის მუშაობა

## დასავლეთ სახელმწიფოთა დელეგაციების პროვოკაციული გეგმების ამოქმედება

ლონდონი, 15 დეკემბერი. (საკუთარი სპეც. კორ.). ამ უკანასკნელ დღეებში მკაფიოდ გამოირკვა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს ლონდონის სესიაზე ამერიკის დელეგაციის გეგმა, შეთანხმებული როგორც ბრიტანეთის, ისე საფრანგეთის დელეგაციებთან. ფაქტები მოწმობენ, რომ ამერიკის დელეგაცია მინისტრების საბჭოს სესიაზე მოვიდა წინასწარ შემუშავებული გეგმით — არ შეებოჭა თავი რაიმე გადაწყვეტილებით, რომელიც ხელს შეუშლის გერმანიისაგან დასავლეთ გერმანიის ოლქების საბოლოო ჩამოშორებას, სადაც ინგლისელი და ამერიკელი ხელისუფალნი უკვე ბატონობენ როგორც თავიანთ კოლონიაში; ხოლო თუ ოთხი მინისტრის თათბირი არ შეიძლებოდა გამოეყენებინათ ამ პოლიტიკის დასადასტურებლად, მაშინ ჩაეშალათ არა მარტო ლონდონის სესიის მუშაობა, არამედ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადების მთელი მუშაობაც.

ამ უკანასკნელ ხანს ლონდონის პრესაში გამოქვეყნებული ცნობები სავსებით ადასტურებენ, რომ ასეთი გეგმები აქვს არა მარტო ამერიკის დელეგაციას, არამედ ინგლისისა და საფრანგეთის დელეგაციებსაც, რომლებმაც თავისი მორჩილად მიჰყვნენ შეერთებულ შტატებს. ლონდონის გაზეთები, რომლებიც აშკარავებდნენ პრესის ბურჟუაზიული თავისუფლების ნამდვილ მნიშვნელობას, თითქოს დირიჟორის ჯოხი ამოქმედებით, ერთხმად სწერდნენ, მინისტრების საბჭოს სესია უეჭველად ჩაიშლება და საბჭოთა დელეგაციისაგან მოითხოვდნენ ცალმხრივ დათმობას ვითომდა სესიის გადასარჩენად. დამახასიათებელია, რომ ლონდონის პრესა, მინისტრების მთელი სესიის განმავლობაში აშკარად სწერდა ინგლის-ამერიკის შეთანხმების შესახებ, რასაც სესიის ჩაშლას უკავშირებდნენ. მაგალითად, აშკარად და ამასთან ყოველდღე იუწყებოდნენ „ბიზონიის" ბაზაზე დასავლეთ გერმანიის სახელმწიფოს შექმნისათვის მზადების ღონისძიებათა შესახებ, ამასთან „ბიზონიაში" უნდა შესულიყო ოკუპაციის საფრანგეთის ზონაც. ეს ხდებოდა მაშინ, როცა მარშალი, ბევინი და ბიდო სხდომებზე ყოველგვარ ორპირულ განცხადებას აკეთებდნენ, თითქოს ცდილობდნენ საერთო შეთანხმების მიღწევას.

წინასწარ გამოირკვა აგრეთვე, რომ შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის დელეგაციებმა, მათ შორის არსებული ფარული შეთანხმების შესაბამისად, გადაწყვიტეს ლონდონის სესიის მუშაობის ჩაშლა შეეფარდებინათ რეპარაციის საკითხის განხილვისათვის. ამრიგად, განზრახული ჰქონდათ საბჭოთა კავშირისათვის დაეკისრებინათ პასუხისმგებლობა სესიის უარყოფითი შედეგისა და გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადების ჩაშლისათვის. ეს პროვოკაციული განზრახვა მკაფიოდ გამოვლინდა 10 დეკემბრის სხდომაზე მარშალის გამოსვლაში.

ეს ქვიშაზე აგებული გეგმები სავსებით გამოაშკარავდა დღეს, საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს ლონდონის სესიის უკანასკნელ სხდომაზე.

## უარი სთქვეს მოესმინათ გერმანიის დემოკრატიული საზოგადოებრიობის დელეგაციისათვის

მინისტრების საბჭოს დღევანდელი სხდომის დასაწყისში ვ. მ. მოლოტოვმა განცხადება გააკეთა, რომ საბჭოთა დელეგაციამ, როგორც, უეჭველია, სხვა დელეგაციებმაც, ბერლინიდან მიიღო გერმანიის სახალხო კონგრესის პრეზიდიუმის დეპეშა, რომელსაც ხელს აწერენ გ. პიკი, დოქტორი ვ. კულცი და ო. ნუშკე. ეს დეპეშა შეიცავს თხოვნას, რომ მინისტრების საბჭომ მოუსმინოს ბერლინში ამას წინათ შემდგარი გერმანიის სახალხო კონგრესის დელეგაციას.

მოლოტოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაცია მხარს უჭერს გერმანიის სახალხო კონგრესის პრეზიდიუმის თხოვნას. ეს კონგრესი მიმდინარეობდა გერმანიის ყველა იმ ძირითადი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელთა მონაწილეობით, რომელნიც მოქმედებენ როგორც აღმოსავლეთ ისე დასავლეთ სამ ზონაში. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდა 2.000-ზე მეტი დელეგატი, მათ შორის გერმანიის დასავლეთი ზონების სხვადასხვა ორგანიზაციის 664 წარმომადგენელი. საბჭოთა დელეგაციამ 138 დეპეშა მიიღო აგრეთვე გერმანიის სხვადასხვა ორგანიზაციისაგან — საწარმოების, მაგისტრატების, უნივერსიტეტებისა და სხვა ორგანიზაციებისაგან, — რომლებიც მხარს უჭერენ სახალხო კონგრესის წინადადებებს.

მარშალმა, ბიდომ და ბევინმა ერთხმად გამოსთქვეს აზრი მინისტრების საბჭოს სესიაზე გერმანიის სახალხო კონგრესის დელეგაციის მიწვევის წინააღმდეგ. ამრიგად, დასავლეთი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა ცხადჰყვეს, რომ არ სურთ ყურად იღონ გერმანიის პროგრესული საზოგადოებრიობის ხმა გერმანიის მომავლის საკითხის გადაწყვეტის დროს.

## საბჭოთა დელეგაცია მტკიცედ მოითხოვს საქმიანად იქნას განხილული გერმანიისაგან ასაღებ რეპარაციათა საკითხი

ამის შემდეგ მინისტრები დაუბრუნდნენ გერმანიის მიმართ გამოსაყენებელ ეკონომიურ პრინციპთა განხილვას. მარშალმა განაცხადა, რომ გერმანიის ეკონომიურ საკითხებში, კერძოდ, რეპარაციის საკითხში, საბჭოთა დელეგაციის პოზიცია, რომელიც მოლოტოვმა ჩამოაყალიბა წინა, 12 დეკემბრის სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციისათვის მიუღებელია.

ბიდომ ამ საკითხშიც ორპირობა გამოიჩინა, რომელიც ახასიათებდა საფრანგეთის დელეგაციის მოქმედებას მინისტრების საბჭოს ლონდონის სესიის მუშაობის მთელი მსვლელობის განმავლობაში. ერთი მხრივ, იგი ამტკიცებდა, რომ საფრანგეთის მთავრობა მომხრეა გაგრძელდეს გერმანიიდან სარეპარაციო მიწოდებანი და ერთობ ზრუნავს გერმანიის აგრესიით დაზარალებული ქვეყნების ინტერესებისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, თუმცა პირდაპირ არ გაულაშქრნია გერმანიის მრეწველობის მიმდინარე პროდუქციიდან სარეპარაციო მიწოდებათა წინააღმდეგ, მაგრამ საეჭვოდ მიიჩნია ასეთ მიწოდებათა მიზანშეწონილობა, მოსაზრება გამოსთქვა, რომ ეს მიწოდებანი გაადიდებენ გერმანიის მრეწველობის პოტენციალს (შესაძლებლობას), და დასასრულ საბჭოთა წინადადებების წინააღმდეგ გამოვიდა.

მოლოტოვმა მოითხოვა შესდგომოდნენ საბჭოთა დელეგაციის მიერ რეპარაციის საკითხზე შეტანილ წინადადებათა კონკრეტულ განხილვას. მაგრამ დასავლეთი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა ეს არ მოისურვეს. ამის ნაცვლად ბევინმა და მარშალმა გამოაქვეყნეს წინასწარ დაწერილი და ერთნაირი შინაარსის განცხადებანი, რომელთა მიზანი იყო დაემტკიცებინათ საგარეო საქმეთა მინისტრების ამ სესიის მუშაობის შემდგომი განგრძობის უმიზნობა.

ბევინისა და მარშალის განცხადებებში, რომლებიც უხეშად ამახინჯებდნენ საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს, ჩამოთვლილი იყო ყველა ის საკითხი, რომელთა შესახებაც მინისტრების საბჭო ვერ შეთანხმდა როგორც გერმანიის, ისე ავსტრიის მიმართ. ბევინი და მარშალი ყოველნაირად ცდილობდნენ საბჭოთა დელეგაციას დაკისრებოდა პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ ეს საკითხები არ გადაწყდა, და ოდნავადაც არ მორიდებიან იმას, რომ მათი მტკიცება აშკარად ეწინააღმდეგებოდა ფაქტებს.

თავისი გამოსვლის ბოლოს ბევინმა დასვა პროვოკაციული კითხვა: „არის თუ არა მინისტრების საბჭო ისეთი ინსტანცია, რომელიც როდისმე შესძლებს გერმანიის პრობლემის გადაწყვეტას". მარშალმა კი ხაზგასმით აღნიშნა, თითქოს ამერიკელები განსაკუთრებით ცდილობდნენ მიეღწიათ შეთანხმებისათვის ავსტრიის ხელშეკრულების შესახებ, და პირდაპირ განაცხადა, რომ უმიზნოდ მიაჩნია განხილულ იქნას დღის წესრიგში დარჩენილი საკითხები. გერმანიის დროებითი პოლიტიკური ორგანიზაცია, გერმანიის დემილიტარიზაციის საკითხებზე წინანდელ გადაწყვეტილებათა შესრულება და სხვ. ამის შემდეგ მარშალმა წინადადება შეიტანა — გადაიდოს საგარეო საქმეთა მინისტრების სესია, ამასთან არ უთქვამს, თუ რა ვადით.

ამრიგად, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებმა უნებლიედ ამხილეს თავიანთი თავი, შეასრულეს იმათი საზიზღარი როლი, ვინც ფუშავს საერთაშორისო თანამშრომლობას ომისშემდგომი მშვიდობიანი მოწესრიგების საქმეში. რაც შეეხება ბიდოს, ის თავისი ორ კოლეგას ამოეფარა და დუმილი არჩია.

შემდეგ სიტყვა აიღო ვ. მ. მოლოტოვმა. მან შეაჯამა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სესიის სამი კვირის მუშაობის შედეგი და ცხადჰყო, თუ ნამდვილად ვისი ბრალია, რომ ეს მუშაობა წარმატებით არ დაგვირგვინდა.

— იმის მიხედვით, რაც ჩვენ აქ მოვისმინეთ, — სთქვა მოლოტოვმა, — ჩანს, რომ ბევინმა და მარშალმა გადასწყვიტეს იმოქმედონ ურთიერთშორის წინასწარ შეთანხმებული გეგმით. მათ არ მოისურვეს განეხილათ სესიის დღის წესრიგში დასმული საკითხები. მათ თავი აარიდეს განეხილათ წინადადებანი საბჭოთა დელეგაციისა, რომელიც ისწრაფვის საქმიანი მიმართულება მისცეს მსჯელობას. ამისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება იმათ, ვინც სცვლის იმ მუშაობის მიმართულებას, რომელიც საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოში დღემდე მიმდინარეობდა.

მოლოტოვმა აღნიშნა, რომ საფრანგეთის დელეგაციამ მხარი არ დაუჭირა ბევინისა და მარშალის წინადადებებისათვის, მაგრამ ამ წინადადებათა საწინააღმდეგოც არაფერი უთქვამს, და დასკვნა, რომ საფრანგეთის დელეგაცია ეთანხმება მარშალისა და ბევინის მიერ დასახულ გეგმას.

„გამოდის, — აღნიშნა მოლოტოვმა, — რომ ეს მხოლოდ ადასტურებს იმ განცხადებას, რომელიც მე პარასკევს გავაკეთე, — რომ სამი დელეგაცია ახლა ერთიანი ფრონტით გამოდის საბჭოთა კავშირისათვის სარეპარაციო მიწოდებათა წინააღმდეგ".

მოლოტოვი შეეხო ბევინისა და მარშალის გამოსვლებს და ხაზი გაუსვა, რომ ამ სიტყვებში უხვად იყო სრულიად ელემენტარული და საყოველთაოდ ცნობილი ფაქტების საწინააღმდეგო განცხადებანი და რომ ბევინი და მარშალი ცდილობენ ჩაშლისათვის პასუხისმგებლობა საბჭოთა დელეგაციას დააკისრონ. „ამას ვერავინ მოახერხებს, — სთქვა მოლოტოვმა, — იმიტომ რომ არის საბჭოთა დელეგაციის განცხადებანი, რომლებითაც ზუსტად ჩამოყალიბებულია მისი პოზიცია. უდავო ფაქტების წინააღმდეგ მოქმედებით ამ პოზიციის დამახინჯების ცდები არავის არ მოუტანს სარგებლობას".

— აქ ლაპარაკი იყო ავსტრიის საკითხზე, — განაგრძო მოლოტოვმა. — თუმცა ეს საკითხი არა დგას დღევანდელი სხდომის დღის წესრიგში, საბჭოთა დელეგაცია იმის წინააღმდეგი არ არის, რომ აზრები გამოითქვას ამ საკითხზე. ამ საკითხშიც საბჭოთა დელეგაციის პოზიცია აქ არასწორად იყო მოყვანილი, და ამიტომ საჭირო ხდება ფაქტების აღდგენა. საფრანგეთის დელეგაციამ ლონდონში მართლაც შეიტანა ახალი წინადადება ავსტრიაში არსებული გერმანული აქტივების საკითხზე, და საბჭოთა დელეგაცია ყურადღებით მოეკიდა ამ წინადადების განხილვას. საბჭოთა დელეგაციას არ შეეძლო დათანხმებოდა საფრანგეთის წინადადებას, მაგრამ ამასთან ერთად მან გარკვეულად განაცხადა, რომ ამ საკითხში შესაძლოა დათმობანი საბჭოთა კავშირის მხრივ. მაგრამ ეს საკითხი მინისტრების საბჭოს დღემდე არ განუხილავს. იგი საბჭოთა დელეგაციის მიზეზით არ დარჩენილა განუხილველი. და აი ახლა, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა დელეგაციამ განაცხადა, რომ იგი შეთანხმების მიღწევის მიზნით მზად არის დაჟინებით არ მოითხოვოს, რათა ყველა აქტივი, რომლებზეც მას უფლება აქვს, საბჭოთა კავშირის ხელში გადავიდეს, ჩვენ მოგვაწერენ, რომ ვითომც უარს ვამბობთ ამ საკითხის კონკრეტულ განხილვაზე. ეს ფაქტების უხეში დარღვევაა, რომელიც არ შეიძლება დაშვებულ იქნას.

მოლოტოვი გადავიდა გერმანიის საკითხზე და საბჭოს გაახსენა, რომ ვერც ბევინმა და ვერც მარშალმა ვერ შესძლეს უარეყოთ საბჭოთა დელეგაციის მიერ მოყვანილი ფაქტები, რომლებიც ცხადჰყოფენ, თუ ამერიკისა და ბრიტანეთის ხელისუფალნი გერმანიაში როგორ ფუშავენ რეპარაციების შესახებ პოტსდამში მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას. ეს ხომ უდავო ფაქტია, რომ დასავლეთის ზონებში მთელი გასული დროის მანძილზე რეპარაციების ანგარიშში 20 სახელმწიფოს გადაეცა მხოლოდ 33 მილიონი დოლარის მოწყობილობა. ასეთია ამ რეპარაციების სასაცილოდ ოდენობა. მოლოტოვმა აგრეთვე აღნიშნა, რომ 18 ქვეყნის სამოკავშირეთაშორისო სარეპარაციო ბიურო, რომელსაც სხდომები ბრიუსელში აქვს, აგრეთვე სრულიად შეუწყნარებლად მიაჩნია ახლანდელი მდგომარეობა რეპარაციების ანგარიშში გერმანიის კაპიტალური მოწყობილობის მიწოდებათა მხრივ.

— ბევინი და მარშალი უკმაყოფილონი არიან იმით, რომ მათ ამ ფაქტებზე მივუთითებთ, — სთქვა მოლოტოვმა. — მათ შეუძლიათ გვერდი აუარონ ამ ფაქტებს, მაგრამ მაინც მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ეს ფაქტები ეხება სამოკავშირეთაშორისო სარეპარაციო ბიუროს შემადგენლობაში შემავალი 18 სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებს და, გარდა ამისა, საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ინტერესებს. ჩვენ ნორმალურად ვერ ჩავთვლით ისეთ მდგომარეობას, როცა ირღვევა რეპარაციების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება, რამდენადაც არ უნდა გვიმტკიცონ, რომ დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს თითქოს სურთ შეასრულონ ამ საკითხის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებანი. ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს ფაქტებს და არა ფაქტების საწინააღმდეგო განცხადებებს.

მოლოტოვმა საბჭოს გაახსენა, რომ საბჭოთა დელეგაციამ, გერმანიის მიმდინარე სამრეწველო პროდუქციიდან სარეპარაციო მიწოდებათა საკითხი რომ დააყენა, გარკვეული წინადადებანი შეიტანა. საბჭოთა დელეგაციამ აღნიშნა, რომ საჭირო იქნებოდა გერმანიის დასავლეთ ზონებში გერმანიის მრეწველობის დონის (ამაღლება 1938 წლის დონის ახლანდელი 35 პროცენტიდან ამ დონის 70 პროცენტამდე), რათა ეს საკითხი გადაჭრილიყო. ამ შემთხვევაში მიმდინარე სარეპარაციო მიწოდებათათვის 10 პროცენტის გამოყოფა გერმანელებს დაუტოვებდა პროდუქციის 60 პროცენტს ნაცვლად ახლანდელი 35 პროცენტისა. ამის შედეგად მიმდინარე სარეპარაციო მიწოდებანიც შესრულდებოდა და თვით გერმანელებიც თითქმის ერთიორად მეტ სამრეწველო პროდუქციას მიიღებდნენ, ვიდრე ამჟამად იღებენ. ამასთანავე გერმანელებს შესაძლებლობა უნდა მიეცეთ მსუბუქი მრეწველობა 70 პროცენტზე მაღლაც აიყვანონ. მაგრამ მხოლოდ საფრანგეთის დელეგაცია გამოეხმაურა ამ წინადადებას — მან აშკარად გამოსთქვა აზრი მის წინააღმდეგ. ვერც ბევინმა, ვერც მარშალმა ვერ გაბედეს გამოსულიყვნენ ამ წინადადების წინააღმდეგ. მაგრამ ამავე დროს მათ არც მხარი დაუჭირეს მისთვის, თუმცა იგი კონკრეტულ პასუხს იძლევა იმ კითხვაზე, თუ როგორ უნდა გადაიჭრას მიმდინარე პროდუქციიდან სარეპარაციო მიწოდებათა პრობლემა და ამავე დროს აშკარავებს, რომ უმართებულოა ამ საკითხში სსრ კავშირის პოზიციის წინააღმდეგ გალაშქრება.

— საბჭოთა დელეგაციის წინადადება, — განაგრძო მოლოტოვმა, — იმაში მდგომარეობდა, რომ დასავლეთ ზონებში შეცვლილიყო პოლიტიკა გერმანიის მრეწველობის მიმართ. მაგრამ ამერიკისა და ბრიტანეთის დელეგაციებმა თავი აარიდეს პასუხს. რა თქმა უნდა, თუ გატარდება გერმანიის მრეწველობის შეფერხების პოლიტიკა, მაშინ არ შეიძლება მიღებულ იქნას საბჭოთა დელეგაციის წინადადება იმის შესახებ, რომ დასავლეთ ზონებში გერმანიის მრეწველობის დონე 1938 წლის დონის ახლანდელი 35 პროცენტიდან აყვანილ იქნას 70 პროცენტამდე. მაგრამ ვინ დაგვიჯერებს, რომ ჩვენ გვსურს გერმანიის ეკონომიური აღდგენა, თუ ჩვენ გადაუდებელ ამოცანად არ მივიჩნევთ გერმანიის მრეწველობის მშვიდობიანი დარგების აღდგენას ომამდელი წლების დონის თუნდაც 70 პროცენტამდე, ხოლო შემდეგ უფრო მეტადაც. მეორე მხრივ, საბჭოთა წინადადების მიღება გერმანიის მრეწველობის შეფერხებაზე ხელის აღების მომასწავებელი იქნებოდა. სწორედ ამის გაკეთება კი არა სურთ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს, ვინაიდან ეს მათგან მოითხოვდა, რომ ხელი აეღოთ მათს ახლანდელ პოლიტიკაზე გერმანიის მიმართ.

მოლოტოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანიის მრეწველობის შეფერხების პოლიტიკა დაკავშირებულია დასავლეთის სახელმწიფოების გარდუვალ ახალ ხარჯებთან გერმანიაში სურსათის აუცილებელი იმპორტის უზრუნველსაყოფად. ეს ნიშნავს, რომ ამ სახელმწიფოთა ახლანდელი პოლიტიკის დროს მძიმე მდგომარეობაში ვარდებიან არა მარტო გერმანიის დასავლეთ ზონებში მცხოვრები გერმანელები, არამედ აგრეთვე ინგლისელი და ამერიკელი გადასახადის გადამხდელები, რომლებმაც უნდა აანაზღაურონ თავიანთი მთავრობების ის ხარჯები, რაც გერმანიაში სურსათის იმპორტს სჭირდება. საბჭოთა დელეგაცია ამტკიცებს, რომ გერმანიას შეუძლია უზრუნველჰყოს თავისი თავი ყველაფრით, რაც მას ესაჭიროება, და არ ჩაიფლოს დოლარის ვალში, რაც მის ძალებს აღემატება, თუ გერმანელ ხალხს შესაძლებლობა მიეცემა აღადგინოს თავისი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მშვიდობიანი დარგები.

— დამახასიათებელია, — შენიშნა მოლოტოვმა, — რომ აღმოსავლეთ ზონაში გერმანელ მოსახლეობას არავითარი გარეშე ვალები არა აქვს, ინგლისურ და ამერიკულ ზონებში კი დოლარის ვალი სწრაფად იზრდება. რატომ ხდება ეს? იმიტომ, რომ დასავლეთ ზონებში აფერხებენ მრეწველობის განვითარებას, მრეწველობის მშვიდობიანი დარგები იქ არ ვითარდება და გერმანელებს სახსრები არ გააჩნიათ იმ საიმპორტო სურსათის ღირებულების გადასახდელად, რომელიც გერმანიაში შეაქვთ. თუ გერმანელ მოსახლეობას დასავლეთ ზონებში შესაძლებლობა მიეცემა აღადგინოს მშვიდობიანი მრეწველობა, თუ ამ საქმეს არ დააბრკოლებენ და თუ მშვიდობიანი მრეწველობის აღდგენის მიმართ დაწესებული იქნება ოთხი სახელმწიფოს სათანადო კონტროლი, გერმანია თავს გაართმევს თავის ეკონომიურ მდგომარეობას ისე, რომ ზიანი არ მიაყენოს სხვა ქვეყნებს. მაშინ გერმანია არ ჩაიფლობა კაბალურ ვალებში, მას შეეძლება ისარგებლოს იმ კრედიტებით, რასაც მას ნორმალური პირობებით მისცემდნენ, მაშინ არ გაიზრდებოდა არც გერმანიის დოლარის ვალები, არც ის ვალდებულებანი, რომლებიც მძიმე ტვირთად აწევს კონტროლის გამწევ სახელმწიფოებს. მაგრამ ამისათვის საჭიროა დასავლეთ ზონებში შეიცვალოს პოლიტიკა გერმანიის მშვიდობიანი მრეწველობის მიმართ. ამას ვერსად გავექცევით.

მოლოტოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დელეგაცია მიზნად ისახავდა მიეღწია იმისათვის

(დასასრული მე-4 გვერდზე)

